**საზრახველი.** საფრანგეთის ღვლეები და ბურები დიდ ავტორიტას ეწვიან ვალდე-რუსოს კაბანეტის წინააღმდეგ. აი, მაკალიათ, რა ხაირი ქადაგება წარმოუთქვამს ერთ ღვლეულს ეკლესიაში: „ღვლეული. აქ ჩვენ მხოლოდ ქრისტიან დროშის ქვეშ შევამარნი არ ვართ? მამ სულათობა, წავიდეთ წინ თავისუფლების დასახელებათ! განა მისათმენია ამ მშვენიერ საფრანგეთში თავისუფლებას ურჯულთ ეკუთვნოდეს? ხალხი. არა, არა! — ღვლეული. გინდათ ეს მოათმინოთ? — ხალხი. არა, არა! — ღვლეული. მამ მომავალ არჩევანისთვის მუშათ იყავით; მამეინ კიდის კიდემდის მხოლოდ ორი კანდიდატი იქნება: ქრისტი და ბარბა! ერთი მხრით დადგება იესო ქრისტი ქრისტიანთა სხიით და მეორე მხრით ბარბა სხვა-და-სხვა სხეულადებით: ბარბა — ანტიკლერიკალი, ბარბა — რევოლუციონერი, ბარბა — კომუნარი, ბარბა — ანარქისტი. ბარბას მისცემთ თქვენ კენჭს? არა, ათასჯერ არა...“ აი როგორ აქვსებენ ხალხს ეკლესიის მოძღვარნი სამოქალაქო მთავრობის წინააღმდეგ.

— ლენისის მთა-მანების მუშათ კონგრესის შექარა საერთო გაფიცვის შესახებ, როგორც სჩანს, ვეღარ განხორციელდება. ამის მიზეზია ის, რომ მონსოს მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილა პატრონებმა და იქ მუშაობაც დაიწყო. ხოლო საერთო გაფიცვის მოწინავე მუშობლები ეს მონსოს გაფიცულები იყვნენ, რითაც სურდათ თავისი გაეტანათ.

**ბერმანია.** ბრუსის აკრებიებს დღე და დღე არ სძინავთ და ერთთავით ბაყების მომატების მუშაობაში არიან. ისინი იღვიან „საწყალი სოფლისათვის“, რომლის ინტერესებს პირველად

და, ალაკი უნდა უჭიროს გერმანიისში. მაგრამ გასული წლის ხალხის აღწერილობიდან სჩანს, რომ სოფლებში თანდათან მცირდება მცხოვრებთა რიცხვი და ქალაქებში გადას. ცნობილია, რომ მთელი გერმანიის მცხოვრებთა უმრავლესობა ქალაქებშია თავმოყრილი, მაგრამ კერძოთ ბრუსის მცხოვრებთა უმრავლესობა-კი ისევ სოფლებში არის. ახლა გამოხინდა, რომ ეს „გერმანიული ქვეყანა“ სწრაფად მოდის გაქალაქების გზაზე. მაგ. 1890 წ. ბრუსის სოფლის მცხოვრებნი შეადგენენ 60,6 პროცენტს, 1895 წ. 58,1 პროც., ხოლო 1900 წ. 56,9 პროც. მასხადამე კიდევ რამდენიმე წელი და ბრუსიან ინდუსტრიალურ მხრეთ გადაიტყუვა. ამას ვაჩვავთ გერმანიის კონსერვატორები და ამიტომ ყოველივე ძალ-დინით ეწინააღმდეგებიან ბრუსის ახრჩია გაყვანას, რაც, რასაკვირველია, დაახჩრებს სოფლის გაქალაქებას.

**ავსტრია.** ავსტრიაში თან და თან ძლიერდება კათოლიკეთა მოძრაობა რომის წინააღმდეგ. ესენი ფიქრობენ მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოება გვიშლის ხელს პროტესტანტ გერმანიისთან დაკავშირებას, ხოლო ასეთი კავშირი ჩვენ მოგვცემს ძლიერ პოლიტიკურ ძალას სლოვაკისთა წინააღმდეგ სამრძოლველათ. ამისათვის ავსტრიის ხემეცები ცდილობენ მიიღონ პროტესტანტული სარწმუნოება და ამით მოამზადონ ნიდაგი ავსტრიის გერმანიისში მომწვედვიან. სამაგიერათ, მეორე მხრით, კლერიკალი არ სძინავთ. ესენი დიდ პროტესტს უცხადებენ ასეთ მოძრაობას და მუშაობენ მის შესახებულათ. მაგ. გასული წელი რაში ვენაში მათ მოყვნიდნათ ორი დიდი დემონსტრაცია. დემონსტრაციისში მანაწილეობა მიუღია უფრო ქალებმა, რომელთა რიცხვი ექვს ათასამდის უფილია. ასეთი დემონსტრაციები მოხდა წინა გვირგვინშიც.

**პრუსია.** უნძულ გრეტაში ორი შარტია შედგა ერთს სურს უნძულის პირდაპირ საბერძნეთთან შეერთება, ხოლო მეორეს — დამოუკიდებელი თვით არსებობა. პირველი შარტიის შეთაურთა თვით მთავრობა შინილი გიორგის შეთაურთობით. და აი, მოხდა გრეტის პირველი საციონალური გრების არჩევანი. არჩევნებმა ერთიანთ დამარცხა პირველი შარტია და გამარჯვება მანიჭა მეორეს. 63 დეპუტატში მთავრობის მომხრე მხოლოდ 6; 54 კი მეორე შარტიან ეკუთვნიან, ხოლო 3 მამამდინათა ჯგუფს. ცხადია, გრეტის ხალხს სურს დამოუკიდებლობა.

**ინგლის-ბრანსვალის ომი.** ამ გვირის დეპუტები ბურებისთვის სასიხარულოს ვერაფერს წარმოადგენს. თუმცა რამე დიდი, ამის გადაწყვეტი, ბრძოლა არ მომხდარა, მაგრამ ეტყობა, რომ ბურები დიდხანს ვეღარ შესძლებენ თავ-განწირულ ამის ძლიერ მტერთან. სადაც კი შეტაკება მოხდა მათ შორის ამ გვირში, ყოველგან ინგლისელებმა გაიმარჯვეს; აი, რა გვაჩინა ამბები მოდის ბრძოლის ველიდან: „ტაიმსი“ ატყობინებენ მინასრნიკრიდან, რომ 1,500 შიარბლებული ბური ან თვითონ დამორჩილდნენ, ან ტყვეთ იქმნენ წაყვანილნი ინგლისელების მიერ. კიტინური იწერება — „22 ანოლიდან სხვა-და-სხვა რაზმებმა მოკლეს 28 ბური, დაჭრეს 6 და ტყვეთ წაიყვანეს 130. იარაღი აიყარა 183 კაცმა“. მეორე ცნობა: „უჩანსკელ დეპუტის შემდეგ მოკლულ იქნა 8 ბური, დაჭრილ იქნა — 20, დაატყვევეს — 132 და თავის ხეობით დამორჩილდა 24“. ერთი დეპუტაც არ მოსულა, რომ ბურებს სადმე ინგლისელები შეევიწროებინოს. მტეინი და დევეტი დასავლეთ ტრანსლანდში არიან. ზავზე მოლაპარაკების ნიშნებმა ხელ-ახლა დაიწყო თავის ჩენა. ქინი ბოტა წავიდა კრიუკერთან და ცდილობს დაიუფლიოს იგი მშვიდობიანობაზე. თუ რაიმე შესამხნევი ცვლილება არ მოხდა ომში, ეს ზავი ბურებისთვის მძიმე იქნება. სალიუსბურამ ამას წინათ წარმოთქვა სიტყვა ღონდონში და ამავთ გამოაცხადა,

ომი ინგლისის გამარჯვებით გათავდა. „მშვიდობიანობის საქმე, თქვა მან, ესაა უზრუნველ უფუდილია. ჩვენ მიერ მოტანილ მსხვერპლს ის შედეგი მოჰყვა, რომ ახლა უფლა სხელმწიფომ იცის, რას იმზავს ინგლისის გამარჯვება, რა ძლიერება აქვს ჩვენ იმპერიასა“.

**ჩინეთი.** ამ კვირის განმავლობაში ჩინეთიდან დიანს შეხანაზნავი ამავი არაფერი მოსულა. კლჩებსა და ჩინეთის მთავრობის შუა მოლაპარაკებას საზღაურის გადახდის შესახებ. ჩინეთის რწმუნებულთაგან მიიღეს ნატა ვერანის სხელმწიფოთა წარმომადგენლებმა, სადაც ჩინეთი თანხმობას აცხადებს 450 მილიონ ტაელის გადახდისა და აღუთქვამს ამ ვადის 30 წელიწადში კასტუმრებს 1902 წლიდან დაწყებული თხუთმეტ-თხუთმეტ მილიონის გადახდით.

### წერილები ბელგიაში.

პოლიტიკური პარტიები და მათი ძალ-ღონის განაწილება პარლამენტში.—ბრძოლის სამზადისი საერთო, თანასწორი საარჩევნო უფლების მოსაპოვებლათ.—სამინისტროსა და კლერიკალური პარტიის გაჭირვებული მდგომარეობა.—„ჩინეთის კითხვა“ ბელგიაში.

(შემდეგი. იხ. № 18).

ზიახ, სამინისტროსა და კლერიკალური პარტია ჰხედავს, რომ მის ჰორიზონტზე შავი ღრუბლები ირევა და მოუსვენრათ ეძებს სხვა და სხვა ზომებს მოსალოდნელი ქარიშხლის ასაცილებლათ. და რადგან კლერიკალები ჰგონებენ, რომ ერთი საუკეთესო საშუალება სხვა-და სხვა მაცდურებისა და ფათერაკის წინააღმდეგ არის კათოლიკეთა სარწმუნოება, მათი ყურადღებაც აქვთ მიიქცა. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კლერიკალები არასოდეს არა ყოფილან უზრუნველნი თავისი მდგომარეობის შესახებ; ერთი იმიტომ, რომ მათ, როგორც დარბაისელ ხალხმა, იციან საწუთროს ცვალებადობა, მეორეც—მათი მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა განსაცდლებსაგან თავისუფალი. უკანასკნელ ხანებში მათ დაუძინებლათ ებრძოდა ლიბერალური პარტია და დღეს კიდევ ახალი მტერი გაუჩნდათ. კლერიკალების ერთი მთავარი მისწრაფება მუდამ იყო და არის სამღვდლოების გავლენის გაძლიერება სწავლა-განათლების საქმეში. სასტიკი ბრძოლა თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგ—გასულ საუკუნეში—მათ პირველათ ასტეხეს მეორმოცე წლებში. 1842 წელს სამახსოვრო სიტყვები წარმოთქვა კლერიკალური სამინისტროს თავმჯდომარემ ნოთომბმა: „პირველ-დაწყებით სწავლა-განათლებას აუცილებლათ თანუნდა სდევდეს ზნეობრივი და რელიგიური აღზრდა. ჩვენ (ე. ი. კლერიკალები) კავშირსა ვწყვეტავთ\*) მეX-VIII-ტე საუკუნის ფილოსოფიურ მოძღვრებასთან, რომელიც ილტოდა სწავლა სრულიად ეროვნულათ ექცია და საზოგადოებისათვის მიეცა წმინდა რაციონალისტური (გონებრივი) საფუძველი“. მინისტრის სიტყვები კლერიკალებისათვის ნამდვილ mot d'ordre-ათ, სახელმძღვანელო პრინციპათ გადაიქცა. როცა კი პარლამენტში ხმის უმეტესობას შირილებდენ და ქვეყნის მართვა-გამგეობას სათავეში

მოექცეოდენ, უმაღვე წამოაყენებდენ ხოლმე სწავლა-განათლების კითხვას და ცდილობდენ სკოლის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეზღუდვას. თავის თავათ ცხადია, რომ იმათ ცდას ძალიან ხშირათ აბათილებდა ხოლმე ცხოვრების განვითარება. უკანასკნელი სამკოლე კანონი გამოცემულია 1895 წ. იგი თხოულობს, რომ პირველ-დაწყებით სკოლებში სარწმუნოებას—ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, სამლო-სჯულს—ასწავლიდეს უსათუოთ „კიურე“ (მღვდელი). კანონი იმავე წელს ძალაში შევიდა მთელ ბელგიისათვის გარდა ბრიუსელისა. უკანასკნელმა დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადა და მთავრობამაც უკან დაიხია. წლებადღამდე ბრიუსელში დამის ფობურებში პირველ-დაწყებითი სკოლების კარები დაკეტილი იყო „კიურესთვის“. წელს კი მთავრობამ კვლავ გამოსცა განკარგულება—95 წლის კანონი ძალაში შევიდეს ბრიუსელის სკოლებისათვისაო. აქ კვლავ ასტყდა ხალხის მღვდლარება. ყველა ანტიკლერიკალური პარტიების (ლიბერალები, პროგრესისტები და სოციალისტები) წარმომადგენელთაგან შედგა „კომიტეტი სახალხო სკოლების დასაცავათ“. იმართებოდა აუარებელი მიტინგები და „კონფერანსები“, სადაც ორატორები უხსნიდენ ხალხს განკარგულების მავნებლობას და ურჩევდენ ესარგებლათ იმავე 95 წლის კანონის ერთი მუხლით, რომელიც უფლებას აძლევს მშობლებს თხოვნა შეიტანონ, რომ მათი შვილები განთავისუფლებულ იქმნან სამლო სჯულისგაკვეთილებისაგან. საერო წინააღმდეგობას, საერო მოძრაობას მოჰყვა ის შედეგი, რომ 1) 80,000-ზე მეტი მოსწავლე ბავშვებისა ასცდა „კიურეს“ ზნეობრივ აღზრდას; 2) ხალხში კიდევ უფრო გამწვავდა სიძულვილი კლერიკალების მიმართ და 3) კიდევ უფრო ნათლათ გამოაშკარავდა, რომ უკეთესი და უახლოებელესი საშუალება კლერიკალების თავიდან ასაცილებლათ არის თანასწორი საარჩევნო უფლების მოპოვება. სამინისტროს კი, რასაკვირველია, ასეთი შედეგი არა ჰქონდა სახეში, როცა განკარგულებას სცემდა. კლერიკალების წადილია, რომ სწავლა-განათლების საქმე სრულიად ემორჩილებოდეს ეკლესიას, მაზრა რაკი გრძნობენ, რომ ეს ცხლა უნაყოფო ოცნებაა, იმოკლებენ სურვილს, კმაყოფილდებიან კანონს, რომელიც სამღვდლოებას მინიჭებდეს უფლებას მარტო სამლო წერილს ასწავლონ სკოლებში, და აი ამ პატარა სურვილსაც სავესებით ვერ ახორციელებენ. ეს კიდევ ცოტაა. მარცხი სწავლა-განათლების საქმეში არ არის ერთათ ერთი სადრტინავი საგანი კლერიკალებისა. ამათ სრული საბუთი აქვთ იჩივლონ, რომ აღარ მოვპოვებათ არც ერთი კუთხე, არც ერთი სფერა, სადაც შევძლოთ გულ-დამშვიდებით, აღუშფოთებლათ მოსვენება. თვითწის კვარცხლბეკი, რომელზედაც ისინი—ლიბერალებთან ერთათ—უშიშრათ იყვენ გამაგრებულნი, თვითეს კვარცხლბეკი დღეს იწყებს ტოკვას. ჩვენ ვლაპარაკობთ მილიტარიზმზე.

ამ ჟამათ ბელგიაში ერთობ გამწვავებულია სამხედრო კითხვა. დღემ-მუდამ მატულობს საერთო უკმაყოფილება. ხალხი და საზოგადოება დაეინებით თხოულობს სამხედრო რეფორმებს. მერე როგორია ბელგიის სამხედრო მოწყობილობა? ამ საკითხის გამო, ამას წინათ, ერთმა სახელმწიფო უფლების პროფესორმა (დიუმონი) ასე უპასუხა ერთ სტუდენტს: „ბელგიის სამხედრო ორგანი-

\*) მანამდე კლერიკალები ლიბერალურ პარტიის მოკავშირენი იყვენ.



ზაცია ყოველათ დასაგმობია და სამარცხვინო; იგი საზიზ-  
 ლარია (abominable); ამ მხრივ ბელგია საშინლათ უკან  
 ჩამორჩენილია\*. პროფესორის ასეთი სასტიკი მსჯავრი  
 კიდევ არ ნიშნავს იმას, ვითომ ბელგიაში ისეთი რამ  
 საშინელემა მოიპოვებოდეს, რომლის მშგავსი სხვა განათ-  
 ლებულ სახელმწიფოში არ არსებობდეს. პროფესორის  
 აღშფოთება აიხსნება უფრო იმით, რომ ის ევროპიელი  
 მოქალაქეა, მოქალაქე, რომელსაც დედა აკვანზედვე უგ-  
 ლობებდა თავისუფლების სიმღერას\*) და სიყრმიდანვე  
 შთააგონებდა მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინა-  
 შვე, მოქალაქეთა ადამიანურ ღირსების ხელ-შეუხებლო-  
 ბას და სხ. იმის დასაზიზვით კი, რომ ბელგიის სამხედ-  
 რო მოწყობილობა მართლაც არ შეესაბამება ქვეყნის  
 საერო კულტურულ განვითარებას, საკმაო იქნება ორიო-  
 დე სიტყვა. ბელგია ნეიტრალური ქვეყანაა; მისი დამოუ-  
 კიდებლობა და ტერიტორია უზრუნველ-ყოფილია ევ-  
 როპის ხუთი უდიდესი სახემწიფოსაგან დადებული ხელ-  
 შეკრულებით. მიუხედავად ამისა ბელგიას შედარებით დიდ  
 ძალი ჯარი ჰყავს, რის შენახვაზეც საკმაო ფული იხარ-  
 ჯება. სამხედრო ბიუჯეტი, საშუალო რიცხვით, აღემა-  
 ტება 60 მილიონ ფრანკს. ეს შეადგენს 12<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს სახემ-  
 წიფო ბიუჯეტისას. თვითველ მცხოვრებზე<sup>1)</sup> სამხედრო  
 გადასახადი მოდის 8 ფრ. წლიურად. იარაღ ქვეშ იმყო-  
 ფება მულამ 40 ათასი კაცი; საერთოთ ჯარში ირიცხება  
 100 ათასზე მეტი. ყოველ წლივ გაჰყავთ ჯარში 13,300  
 ახალგაზდა. მთავრობა კიდევ არ არის ამით კმაყოფილი  
 და, როცა შემთხვევა მოიტანს, მომატებასაც თხოულობს.  
 მერე ვისთვის და რისთვის არის ეს საჭირო? ამას წინათ,  
 როცა სამინისტრო სთხოვდა პარლამენტს წელს ჯარში  
 გასაწვევთა რიცხვის დამტკიცებას, მუშათა პარტიის დე-  
 პუტატმა (ტროკლე) ასე უპასუხა: „ჯარს უმატებენ, რად-  
 გან მატულობს სოციალური მოძრაობა; კაპიტალისტებს  
 უფრო და უფრო მეტი ჯარი ესაჭიროებათ შინაური  
 მტრის მოსაგერებლათ; ეროვნული დაცვა კი აქ არაფერ  
 შუაშია“. თუნდაც დაეთანხმდეთ კლერიკალებისა და  
 საერთო ბურჟუაზიის ძახილს—განაგრძობენ მუშათა პარ-  
 ტიის წარმომადგენელნი—რომ ჯარი საჭიროა აგრეთვე  
 ტერიტორიის დასაცავათ, რა საჭიროა ბელგიამ თვი-  
 თონ შეამაგროს გარეშე მტერი, სანამ მებატონე სახელ-  
 მწიფონი მოგვეშველებოდნო; ასეთი მოსაზრებით მაინც  
 არ შეიძლება გამართლებულ იქნას მულმივი ჯარების  
 არსებობა. მაგ., სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკათ არა  
 ჰყოლიათ მულმივი ჯარი, ბურების მეომართ არა სკოდ-  
 ნიანთ კაზარმული დისციპლინა, მარა მიუხედავად ამისა  
 ისინი არამც თუ სხვებზე ნაკლებ არ ებრძვიან გარეშე  
 მტერს, პირიქით, მათ სიმამაცეს და სამხედრო საქმის ცოდ-  
 ნას განცვიფრებაში მოჰყავს მთელი ქვეყანა. 19 თვეა  
 მომდებ და უძლიერესმა ინგლისმა ჯერ კიდევ ვერ გაი-  
 ტანა თავისი. ვიდრე სამუდამოთ მოისპობოდეს ომის მი-  
 ზეზები, მუშათა პარტია თხოულობს შემოღებულ იქნას  
 სახალხო მილიცია, ანუ „შეიარაღებული ერი“ (nation  
 -armée) ე. ი. მეომარი იყოს თვითველი მოქალაქე და

ამასთანავე სამხედრო სამსახურის ვადა არ აღემატებო-  
 დეს იმ დროს, როცა აუცილებლათ საჭიროა თოფის ხმა-  
 რებისა და საზოგადოთ სამხედრო საქმის შესასწავლათ.<sup>2)</sup> ამ  
 მოთხოვნისას სავსებით ვრიდებიან პროგრესისტები;  
 ლიბერალები კი კლერიკალებთან ერთათ ასეთ მოთხოვ-  
 ნილებებზე ხელებს ასავსებენ. კითხვა, რომელიც ღღეს  
 არის წამოყენებული გადასაწყვეტათ, არ შეეხება სამხედ-  
 რო საქმის ასეთ რადიკალურ ცვლილებას. სადღესით  
 თხოვენ მხოლოთ ორ რეფორმას: 1) ჯარში გაწვევის  
 წეს-რიგის შეცვლას და 2) სამსახურის ვადის შემცირე-  
 ბას<sup>3)</sup>.

ახალი სალდათი იკრიბება კენჭის ყრით. კენჭს იღებს  
 ყველა 20 წლის ახალგაზდა განურჩევლათ საზოგადოე-  
 ბრივი მდგომარეობისა, მარა თვითველ მათგანს უფლებ-  
 ბა აქვს თავი განთავისუფლოს ან ფულით—ხაზინაში  
 უნდა შეიტანოს 1,600 ფრ.—ან საბადლო კაცის წარდ-  
 გენით, რაიც იმავე ფულის საქმეა. ცხადია, რომ ასეთი  
 უფლებით უხვათ სარგებლობს ბურჟუაზია და სამხედრო  
 ბეგარა მთელი სიმძიმით აწვევა მარტო მუშა ხალხს. რაც  
 შეეხება სამსახურის ვადას, იგი ბელგიაში უფრო გრძელია,  
 ვინემ ისეთ მილიტრისტულ ქვეყანაში, როგორიც არის  
 გერმანია. ბელგიაში ქვეითა ჯარის (ინფანტერიის) სალ-  
 დათისათვის სამსახურის ვადაა 28 თვე; კავალერიის—  
 4 წელი; გერმანიაში პირველი კატეგორიისათვის—2 წე-  
 ლი; მეორისათვის—3 წელი<sup>4)</sup>.

ფულით, თუ მოზადლეობით სალდათობისაგან თავის  
 განთავისუფლებას ღღეს აღარავენ ესარჩლება გარდა კლე-  
 რიკალებისა. ზოგი ამათგანი აცხადებს, რომ თანახმანი  
 არიან გაუქმდეს იგი, თუ კი შემოღებულ იქნება „ვო-  
 ლონტარიატი“ (დაქირავებული ჯარი), მარა თვითვე დას-  
 ძენენ, რომ უკანასკნელი ღღესვე ვერ განხორციელდება,  
 საჭიროა დრო, მანამდის კი ხელუხლებლათ დარჩეს არ-  
 სებული წესი, („მოზადლეობა“). სამსახურის ვადის შემ-  
 ცირებას კლერიკალები და მათთან ერთათ ზოგიერთ  
 ლიბერალები სთანხმდებიან ერთი პირობით—თუ პარ-  
 ლამენტი, ანუ უკეთ, მისი ოპოზიცია სამაგიეროთ ნებას  
 დართავს, რომ ჯარის კონტინგენტი (რაოდენობა) მო-  
 მატებულ იქნას. კლერიკალების უკიდურესი ფრაქცია—  
 ვუსტის მომხრენი—ჯარის მომატებას არჩევენ ეანდარმე-  
 რიის და პოლიციის გაძლიერებას. ამ გვარ პირობებს  
 ოპოზიცია, რასაკვირველია, უკიდურეს ბრძოლას უცხა-  
 დებს. კითხვის გამოსარკვევათ მთავრობამ დანიშნა გან-  
 საკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს  
 სამხედრო რეფორმის კანონ-პროექტი პარლამენტში წარ-  
 სადგენათ; სამინისტრო კარგათ გრძნობს, რომ საჭიროა  
 მოისპოს „მოზადლეობა“ (ფულით თუ მოზადლეს წარდ-

\*) სამოკდათი წელიწადია უკვე, რაც ბელგიამ რევოლიუ-  
 ციით მოიპოვა კონსტიტუცია.

1) გასული წლის აღრიცხვით ბელგიაში 7 მილ. 700.000  
 მცხოვრებია.

2) სამხედრო სწავლის დროთ აღსარებულია: შვეიცარიაში—  
 45 დღე; ნორვეგიაში—42 დღე, შვეციაში—68 დღე; დანიაში—6  
 თვე; პოლანდიაში 8 თვე.

3) თავისთავათ ცხადია, რომ საქმე შეეხება მხოლოთ სამსა-  
 ხურს. ოფიცრობა და ლენერლობა კი პირიქით დაინტერესებულა,  
 რაც შეიძლება მეტ ხანს იმსახურონ, რადგან ამაზე და მოკიდებუ-  
 ლი მათი ხინი, პატივი და ჯამაგირი.

4) იმ ქვეყნებში, სადაც უკეთ არის სამხედრო საქმე დაყენ-  
 ბული, სამსახურის ვადაა: შვეიცარიაში, ინფანტერიისათვის—120  
 დღე; არტილერიისათვის—140 დღე; კავალერიისათვის—160 დღე;  
 ნორვეგიაში, საერთოთ 102 დღე; შვეციაში 90 დღე.



გენით თავის განთავსებას, საქირთა შემოქრდეს სან-  
სახურის ვადა, რადგან ამის თხოულობს ქვეყნის დიდი  
უმრავლესობა, მხოლოდ იგი მაინც ვერ ემხრობა ამ გვარ  
რეფორმას, რადი ამის წინააღმდეგი არიან კლერიკალები,  
ასეთმა, გატარებულმა მდგომარეობამ შეიძლება დასცეს  
სამინისტრო უკვეცს მდგომარეობაში არ არიან თვით  
კლერიკალები, ესენი კარგათ ხედავენ, რომ თუ ესლა  
წინააღმდეგობიან ხალხის მოთხოვნებიან და უკუაგდე-  
ბენ სამხედრო რეფორმას, ამით აქედანვე უკვე სანახევ-  
როთ დამარცხებულნი იქნებიან მომავალ უფრო უდიდეს  
ბრძოლაში (საარჩევნო უფლებისათვის). მიუხედავთ ამი-  
სა, მაინც უწინააღმდეგობიან სამხედრო რეფორმას. ამის  
მიზეზს არა მალავენ, ამის წინათ მათმა ბელოდმა ვუსტ-  
მა შესძახა პარლამენტში: "როდესაც ჩვენს სამხედრო  
წყობილებას ენებია, მე ყოველთვის ვფიქრობ, რომ არ  
შეირყეს მთელი შენობა ერთხანათო", ასეთთ შიში თან  
დაყოლილი ხვედრია ყველა კონსერვატიულ და რეაქ-  
ციონურ პარტიებისა. არ ეშინიან მხოლოდ მას, ვინც  
თავის წადილს და მოქმედებს უფარდებს ცხოვრების ძი-  
რითად განონს, რაიცა არის განვითარება, წინმსვლუ-  
ლობა.

დასარული იქნება

განათხულო

**მ**სახეზედა! ბუნება  
ერთგვარადაა ათას-ოქროსადა,  
ერთგვარადი, კეკლუნი,  
გაყის, გულ ასაძვრათა,  
სუფი და უსუფი,  
ელევა ხეტარებსა  
და კელარ ფარავს, სავაქნით  
ამბობს თვისს აღსარებას:  
სამთრისგან ჩავრულს, წამებულს  
სუფი და გული მიწუნდა  
და ცრემლი ამ ჩემ თვალთაგან  
სავალაფრით მოქუსდა  
მაგრამ დღეს, ხადალა ჭმუნვისა,  
გაქვია შეგას-სისრულს  
რა-კი, მოვესწარ სამხედროს  
წინამდრედას — გახალსულს

უფამიას ოცნება

(შემდეგი — იხ. № 18)

**ს**ალამოს ან წლადისას მეზობლებს თავი მოეყარათ გიორ-  
გის პარტიისა ცემლათ. თქვეც და ეფემიაც იქ მივიდენ.  
ჯერ კიდევ სუფრაზე ისხდენ. გიორგიმ სტუმრებზე ად-  
ღებამდელა  
— არ გაწყინოს, მაგისთანა ღვინოზე არ ხარ შენ-  
მიერთული! — შენთანა ვლინებ  
— კახურო და მათანცკინუნდა მივანთვამ, მარა სავ-  
ლამ, სთქვა იქვე მჯდომმა ბეყანმა:  
— სოფლოური მამაანსკი ესაა, — იოხუნჯა გიორგიმ  
და ხელში შეათამაშა ღვინოანის ქიქა.

— ახალი ამბავი რაა ამ ზეით? — ჰკითხა ბეყანმა  
გიორგის.  
— იქ ამბები ბევრია, არ ვიცი რომელი გითხრათ,  
დღე ისე არ გავა, რომ ისეთი რამე არ ნახო და ან არ  
გავიგონო.  
— იქინე ვაცს რა მუაწყენს, უქმი და საქმი სულ  
ერთია ახლა თქვენდა!  
— დროს გასატარებლათ საქმის დღე ჯობია კიდევ  
პრახნიკებზე ვიზიტობას უნდებო, კაცი.  
— რაა აი ვიზიტობა?  
— ერთმანეთისას მისვლა, ნახვა, პატივისცემაა რა-  
ლა...  
— რაც დიდი კაცია ყველაი უნდა ნახო, ვერ და-  
ტიებ ხომ?  
— ისეა მიღებული. მაინც აღდგომა-ახალწელიწადს  
ერთ კვირას ვერ ვათავებთ ვიზიტებს, დილას რომ ფაი-  
ტონში ჩაჯდები, ხალამომდი უნდა არბენიო.  
— აი ახირებული ყოფილა! სიცილით წარმოსთქვა  
ბეყანმა: ერთი კვირე რომ ფაიტონით მახათქუნო, ხომ  
გავთავადი...  
— არ შეიძლება რომ დაიღალოს კაცი, ხათქუნი  
რას ქვია! თქვენ რომ გინახავს იმ ნაირი ფაიტონები არ  
არის, რიზინის კალოსებზეა, უხვიროთ ერთს არ შეგან-  
ძრევს, ასე გგონია მიფერინავო.  
— ნუ მეტყვი რაცხას! ღმერთო დეილოცა შენი საქ-  
ხელი! — გაიკვირვა ბეყანმა.  
— საცხა იქით ერთი იმფერი ქვეყანა ყოფილა, რომ  
წყალი ზეით მივა თურმე, იქინე ხომ არ არის მაი? —  
იკითხა მან.  
გიორგის გაეცინა.  
— წყალი აღმა თავის თავად როგორ წავა, ყოლგან  
დაღმართში მიდის.  
— რაფერ ზეით, ბეყან? — ჩერია ლაპარაკში შუა  
ხნის გლენი, ბესო, რომელიც ტანტის ბოლოს იჯდა.  
— რაფერ და აქანაი რომ ქვეით მივა წყალი, ისე  
არაა იქინე. მგლობრამდე — ამბობს პიტი.  
— რაზა მივა ზეით, რას მიყავს წეტაი?  
— ასე ყოფილა და: იქინე ზეით რომ მიხვიდროდე,  
უნდა თქვა თურმე ქვეით მივალო.  
— რაფერ ვთქვა აი, ზეით თუ მივალ, ქვეით მივალ  
მეთქი?  
— ისე ჩივა ყველაი და შენც ისე უნდა თქვა, აბა  
რას იზამ.  
— რა ყოფილა აი! ღმილით შენიშნა ბესომ.  
— არ შეიძლება, ტყუილია, — სთქვა გიორგიმ, იმას  
არ ცოდნია, ვისაც უთქვამს, მაშინებით რომ მიყავთ,  
მამინებია იმ ნაირი, რომ წყალს საიათაც გინდა, იქით  
წავიყვან: თუ გინდა მთაზე, ავიყვან; იმფერი თან ტანუბია  
ბალებში, რომ წყალი უმეგლვებელი ხის სიმაღლეზე გა-  
დებამაღლო.  
ბეყანს ცოტა არ იყო სურებოდა, რომ მისწახათქვა-  
მი მართალი არ გამოდგა.  
— რა ვიცი, ასე გამიგონებ, მისით მივა ზეითო, —  
ცოტა უკმაყოფილოთ ჩაილაპარაკა მან.  
— შენც სტუმარი წვევიდა? — მიუბრუნდა ბეყან ბე-  
სოს.



— აგია ახლა გვესტუმრე და კიდევ გადმევიარე აქეთ.— მიუგო ბესომ.

— რა საქმეშია ახლა მამი ბიჭი? — ვაქრობს, დუქანი აქ სტანციასზე. კარგათაა ძალიანი, მაგისთანაი შეძლებული კაცი არაა ახლა ამ მუხურში.

— რამდენი მილიონი ექნება მაინც? — დაცინვით ჰკითხა გიორგიმ.

— მილიონი რა ვიცი მე, ბატონო, და ისე რაც შეიძლება, სოფლის პირობაზე, ძალიანი მდიდრათაა: კაცი გაწყობილი ოჯახი აქ და დუქანი: წროულს აგერ სათი ქცევა მიწა იყიდა, ცარიელი დაყურსული მერე, — სთქვა ბესომ.

— მდიდარი! გინახავს შენ მდიდარი კაცი! რის მდიდარი? ვისაც მილიონობით აქვს აბაროტი, ხაზინას გაეჯობრება, რომ დაჭირდეს, ისეთი ვაქრები არიან, — ეს მითხარი სიმდიდრე, თვარა სოფლის მეწვრიმალე, ორი გირვანქა ქართოფლის სანთელი ექნება და აბაზის სპიჩკა, მაგის სიმდიდრე რა სათქმელია! ათი ქცევა მიწა! რა არის ათი ქცევა მიწა? მაგის თასი და მეტიც რომ არ დახარჯო თვეში, რაღა კაცი ვიქნები!.. მდიდარ კაცს სოფელში რა გააჩერებს? ფული ქალაქში უნდა; აქ რაში უნდა დახარჯო ფული? არაფერი არ იშოვება, რომ გსურდეს; მჭადი და მონაყილი ადესი. — ამის მეტი რა არის სოფელში? ქალაქი სხვა საქმეა: ფულიც იქ არის და ფული თუ აქ კაცს, ყველაფერი თავისია, არაფერი არ გაკლია, ყველგან დავერია გაქ, სადაც-კი მიხვალ. დაჩვეული კაცისთვის მაინც ნამეტანი მოსაწყენია სოფელი; წელიწადში ერთხელ ჩამოსლა კარგია, გესიამოვნება, ნახავ ნათესავებს, ნაცნობებს, მაგრამ სოფელში მუდამ ვინ გაძლებს. დალოცვილია ქალაქი! იქ არ გენანება კაცს ფულის ხარჯვა სხვა-და-სხვა ნაირი სანახავები, თავის შესაქცევი რამდენიც გინდა, მოსაწყენი დრო არ გაქ კაცს: ბაღები, პრესტავლენიები, ცირკი, თიატრი, კლუბები, ვეჩერები, ბალები, ათას ნაირი საჩვენებელი ვისტავკები... სოფელში რა ყრია? ათი ქცევა-კი არა, ათი მილიონისთვის არ გაეჩერდები აქ! — გატაცებით ამბობდა გიორგი.

— შენ ჯვარი გწერია, ბატონო, მე რაცხა ჩემისთანაიზა ვჩივი აგერ... დაიწყო ბესომ, რომელიც ამ დროს რაღაც გამოურკვეველ სირცხვილს გრძნობდა და თითქმის მზათ იყო ბოდშიც მოეხადა, როგორც დამნაშავეს, თუმცა თითონაც არ ესმოდა კარგად, რა იყო აქ საბოდიშო.

— არა, დაარწმუნე შენი გული, რომ ქვეყნიერობის ჩვენ არაფერი გვესმის. სოფლის კაცი ბრმაია! — შენიშნა ბეჟანმა.

გიორგი გამხიარულდა. ამასობაში ცხელი ხაქაპურიც შემოიტანეს და სტუმრები მიიპატიჟეს. ბეჟანი სუფრას მიუჯდა.

— მოდი, ბესოიავ, აი ხაქაპური მაინც ვკამოთ, ამის მეტი რა შეგვჩვენა ამ წუთის სოფელში, — გაიხუმრა მან.

— მადლობელი გახლავარ! ახლა ავდექი სუფრიდან; შეპარი არ მინდა ისე ვარ... — იხარებდა მან და იმ სიტყვებზე გიორგის სიცილი წასქდა.

— რა ძვირფასი რამე მოიგონა! შეპარი რაღაა, კაცო, რომ ასე ამბობ. სხვა რამე დესერტს მაინც იტყობი.

— შეპარი ყველაფერს გირჩენია ხომ? — სიცილით ჩაჰკითხა მან ბესოს.

— ასე ქვია, აბა რა ვიცი... ასე იტყვიან... დაბნეულად ჩაილაპარაკა ბესომ.

გიორგი უფრო გამხიარულდა, საათს დახედა, მერე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ბესოსთან გაჩერდა.

— აბა, ბესოჯან, თქვი რამე სოფელური სიმღერა, თითქმის დაცინვით უთხრა მას გიორგიმ.

— რა უნდა ვთქვა, ბატონო, შენი საკადრისი და მოსაწონი.

— გეცოდინება რამე თქვენებური... — იხარებდა მან.

— დაღალული ხარ ახლა, შენ ნუ მომიტე და მოსვენება-კი ჯობს აწე. — ზრუნველობით შენიშნა ელენემ გიორგის.

სტუმრები წავიდნენ წამოვიდნენ.

IV

ანწლადის ოდის აივანზე წამოწოლილი გიორგი მოსვენებას ეძლეოდა; იქვე, სკამზე, ელენე იჯდა და ჩონგურს უკრავდა.

— თლა დიეკარგა ამ შეჩვენებულს ხმაი რაცხაიზა, — სთქვა მან.

— რომელ კანცერტს უკრავდი ახლა შენ? — იოხუნჯა გიორგიმ.

— დამთხუე, ჩემი ძამიეი! — ღიმილით შენიშნა ქალმა: კანცერტი არა იგი არ მეყურება...

გიორგიმ დაღრეჯით შეხედა ელენეს და სთქვა.

— ესაა თქვენი დროის ტარება!.. ამით ყმაყოფილი ხართ თქვენ, არა?..

— ჩემი სიკვტილი! მოგწყინდა ახლა შენ! კვირე მაინც იყოს, გადიარდა კაცი სადმე, სათამაშოში...

— სათამაშო, თვარა დიდი რამე სანახავია იქ მე ვიცი! ძალიან მოგწონს თქვენი სათამაშო! გაიცინა გიორგიმ.

— რეიზა ოჯო! გონჯია შეკრებულობა, იმდონი ქალი და კაცი რომ მეიყრის თავს? იმფერი სანახავია ქალიშვილები სიმღერას და ცეკვას რომ დეიწყებენ, რომ...

— ვიცი, ვიცი ის თქვენი ქალიშვილებიც, ბარიშნები, გუშინ არ ვნახე...

— კი, მარა ყოლისფერი ნუ მოგიტეება მითხარი, იმდონ ქალში არაივინ არ მოგწონა?

— ხა, ხა, ხა!.. ვინაა სოფელში მოსაწონი ქალი? ვითომ ერთი გავდა კილო რაცხას... მარა არც ის იყო... ბოლოს დაუმატა გიორგიმ.

— ვინ იყო, თუ ღმერთი გწამს, რაფერი კაბა ეცვა?.. არ ეშვებოდა ელენე.

— აა, ამას მართლა გონია ყურადღება მივაქციე ახლა იმას... თვალში მომხდა რაღაცა, არც-კი შემინედავს...

— რაფერი ხარ ა! რეიზა არ უნდა შეხედო, კაცო? — ვითომ წყენით დაიწყო ელენემ: — ყოლისფერით სრული ხარ, ღმერთის წყალობა ყოლისფერი გაქ, არაფერი არ გენატრება ქვეყანაზე, ოღონ ერთი რამე გინდა ახლა, სხვაი აღარაფერი გაკლია.

— რა მაკლია მაინც, მითხარი.

— რა გაკლია და ცოლი, ძამიავ, ცოლ-შვილი.



— ეპყეე—გააგრძელა გიორგიმ და სიამოვნებით გაილიმა.

— ხუმრობა იქით იყოს და რაღას უყურებ დასურ?

— არაფერს! საქმე გათავებულია, დანიშნული მყავს!

— აბა, აბა!—გაიკვირვა ელენემ.

— ასეა, თუ დაიჯერებ.

— კი კი! ვინ ნუ მოგიკტეს?

— რომ არ სჯერა!

— რეიზა დევიჯერებ მაგას!

— ვითომ რატომ?

— უჩემოთ კი გაბედვ შენ ქალის დანიშნვას! იხუმრა ელენემ—რა იცით თქვენ ქალის ცნობა! საცხა იმისთანას გადიეკიდები, რომ ბედს დაგაწყევლიებს. შენი საცოლვე მე უნდა გამოვარჩიო, იგი გათავებულია. რავაიც გინდა, იმისთანას გიშონი!

— აკი გითხარი სტროგი ქალი ხარ მეთქი, აბა, შენ იცი!

— შენ ხუმრობ და მე დასტურ გიჩივი. ცოლ-შვილისთანაი ტკილი არაფერი არაა ქვეყანაზე; იგი არ თქვას ტყული კაცმა! ძმობას გეფიცები, რამდენსაც დეიგვიანებ ახლა, ყველას ინანებ მერე, თვარა დეიმახსონე აი ჩემი სიტყვა. შორს წასლაც არ გვინდა! იგი დასურ ბედაური ქალია, შენ რომ მოგწონებია!..

— ხა ხა ხა! ვინ მომწონებია, რას ამბობ?..

— კაი, ბატონო, ჯერ თუ არ მოგწონებია, აწე მოგეწონოს ეგება, რომ გეიცნობ კარქა. იმფერი ქალია იგი, რომ, სადაც უნდა წევიდეს, არ შეარცხვენს კაცს, რაც უნდა განათლებულ ადგილზე დარჩეს, ყოლგან თავს მეიხმარს

— რომელ პენციონშია მაინც გაზდილი?

— ვითამ პენციონში თუ არ გეიხარდა, ისე აღარ ვარგა? იქინეი გაზდილი იმფერიც კი ვნახე, რომ მქაღს არ წუუტებდა კაცი!

— რაც უნდა იყოს სოფლელი ქალი, მაინც...

— იმისთანაი არაა სტორეთ! იგი ყოლიფერს შეიფერებს. გუშინ აქანაი იყო იგი, ვარდის ფერი კაბა რომ ეცვა.

— აბა რა ვიცი, ვის რა ეცვა, იმას უყურებდი!— იტრუა გიორგიმ.

— დასურ ჩივი, თუ ხუმბრობ? თითით საჩვენებელი ქალია იგი და რავა ვერ შიამჩნევდი! რაც უნდა შეკრებულებაში იყოს, ამას კი იკითხავ, ვინაა აიო? ოჯო ხუმბრობ, თვარა კი იცი! სახტარზე არ გეიცანი ეფენიეი გვერდელი შვილის ქალი? სკამი რომ დუუცალე აქანაი გუშინ, იგი აღარ გახსოვს მაინც? ხომ კი იცი ახლა?— ეშმაკურათ ჩაპკითხა ელენემ.

— ჰოოო, მგონი ვიცი ვისაც ამბობ.

— რავაი ქალია, ყოლისფერი ნუ მოგიკტება?

— ქალის უნახავი რომ ვიყო... ისეთი ქალები ვიცი რომ...

— არა, მაინც ხომ საქები ქალია?

— არ ვიცი, რა გითხრა! სოფელში შეიძლება საქები იყოს, მაგრამ სხვა ადგილზე...

გიორგი პინტილიანმა ეკკლესიაში შესვლისთანავე მოჰკრა თვალი ეფემიას; მისმა დანახვამ რაღაც გამოუთქმელი სიხარული და სიამოვნება აგრძობინა გიორგის. ეს ძლიერი შთაბეჭდილება იყო მიზეზი, რომ ის იმ დღეს

ისე გატაცებით ლაპარაკობდა. ეს გარემოება ეფემიას მოეპარა ელენეს; ამიტომ ჩამოავლო მან ლაპარაკი ეფემიასზე და ეშმაკურის ლიმილით უგდებდა ყურს გიორგის, რომელიც ამოათ ცდილობდა არ გამოემქლავნებია თავისი გრძობა. ელენე ძალიან აფასებდა გიორგის მოყვრობას და უნდოდა, რომ მას უსათუოთ სოფლელი ქალი შეერთო ცოლათ. მაშინ გიორგი აღარ დაივიწყებდა სოფელს, ხან და ხან ხომ მაინც ჩავიდოდა იქ და ელენესაც ეს სურდა, რადგან მდიდარი მოყვრის ნახვა სანატრელი იყო მისთვის. „მაგან რომ იქაური ქალი შეერთოს, ვეღარ მეიძვეს კაცი მერეო“ ფიქრობდა ელენე. ის კარგად იცნობდა ეფემიას, მოსწონდა მისი გარეგანი სიმშვენიერე და ამიტომ უნდოდა, რომ გიორგის შეერთო ეს ქალი. „ორივე მადრიელი მეყოლება; ხანდისხან კიდევ წავალ იგენტან, ორი დღეი სოფელია, ქვეყანას ვნახავ, ისე ვიქნები, რავაც შინო“— ოცნებობდა ელენე. მან უარი აღარ უთხრა თეკლეს, რომელმაც მას დახმარება და შუამდგომლობა სთხოვა.

— ყმაწვილმა კაცმა არ უნდა გუუშვას ხელიდან მაგისთანაი ქალი სწორეთ,— განაგრძო ლაპარაკი ელენემ— მარა ახლანდელ დროში ბრუნდს და მართალს ყველას გვზითვზე უჭირავს თვალი. რამდონი გლახა სალდება გვზითით, იმდონი სიკეთე აქ ჩემ თავს! შენ გვზითს რეიზა გამუუდგები, ძამიავ, ღმერთის წყალობა ყოლიფერი ბეური გაქ. მაგას მისაცემი აფერი არა აქ და არც უნდა სწორეთ! ისე კაცს ძალიანს არჩევს თვითონ. იმისთანაი კაცები ვააწვილა მაგან, რომ ყველაი სიხარულით წაყოზოდა.

— მეც უარს მეტყვის, არა?—თავ-მომწონეთ იკითხა გიორგიმ.

— შენ რეიზა გეტყვის ვარს, სხვაი და შენ ერთი ხარ? ვინცხას ვარი უთხრა, იგი შენთან ვერ წამოწტის ქოქს სწორეთ! კაცის ცნობა რომ არ სცოდნოდა, აქამდი ორმოცჯერ დეინტროვოდა!

— არა, მეც უარს მეტყვის და ტყულათ შევერცხვები, ვერ ვავბედავ...

— ოჯო შენ ხუმრობ! რაცხა იქნება მე ვიცი, ოღონ შენგან იყოს სიტყვა, თვარა. იმდონია ახლა მაგის მთხონელი, რომ წროულს არ დარჩება გუუთხუარი: ვინცხა ან ძალით და ან ნებით-კი მუუხერხებს რაცხას! ერთი შენი სახელი დაათქვი და დავბორკოთ მაი რაცხა-ფერათ დროზე...

— რომ არ მიმიღონ და კაცი დავიხაგრო... მედიდურათ სთქვა გიორგიმ და კმაყოფილებით გაიციწა.

— კაი თუ ღმერთი გწამს!

— გეტყობა, მართლა ფიქრობ! სწორეთ გითხრა, მე ვერავინ გამაკვირვებს აქ კი არა, სადაც უნდა იყოს! არ დაგიმალოვ. მსურველი განათლებული და მდიდარიც ბეგრია, მაგრამ, თუ ძალიანს შეგვევფეწებიან, ვნახოთ ვიფიქროთ, თუ მართლა ისეთი საქები ქალია...

ეფემიას ნახვა გიორგისთვის სრულიად მოულოდნელი იყო; ის სხვა ანგარიშით აპირებდა ცოლის შერთვას, მაგრამ ამ ეამათ გრძობით გატაცებული გიორგი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელშიაც აღამიანს არ შეუძლია დამშვიდებით ასწონ-დასწონოს ყოველი თავისი მოქმედება. ახლა გიორგი მხოლოთ იმაზე ფიქრობდა,



რომ ეფემია არ წასვლოდა მას ხელიდან. გიორგი კარგად ამჩნევდა, რა ყურადღებით ათვალთვლებდნენ მას თეკლე და ეფემია, რა სიამოვნების ღიმი უქროდათ ამ მანდილოსნებს სახეზე, როდესაც მისს ლაპარაკს ყურს უგდებდნენ და ღღეს კმაყოფილებით ხელავდა, რომ საქმე თავის-თავად კეთდებოდა.

გვერდელიშვილის ქვრივ-ობლებს, უკადურესი ხელმოკლეობის გამო, ძლიერ უჭირდათ ცხოვრება. ღღესასწაულებში, ქორწილში თუ ტირილში, ერთი სიტყვით ყველგან და ყოველთვის მეტათ საგრძნობელი იყო მათთვის ის საშინელი სიღარიბე, რომლისგანაც თავს დამცირებულთ სთვლიდნენ. თავ-მომწონე ეფემია მუდამ შეურაცხებას გრძნობდა, როდესაც საღმრეთო კარგათ ჩამულ ქალს დაინახავდა...

ამისთანა გარემოებაში მათთვის გიორგი პინტილიანი, ის გიორგი, რომელსაც ღღეს მთელი გვიმბრიანი ქება-ღიმილით იხსენიებდა, რომელსაც ყველა ასეთ პატივს სცემდა, როგორც მდიდარს და „განათლებულ“ კაცს, —ღვთისგან მოვლენილი ბედნიერება იყო... მაგრამ არ იცოდნენ, ისურვებდა გიორგი უმზითვო ქალის შერთვას, თუ არა. „მაგისთანაი კაცი ფულს არ უნდა დახარბდეს; თუ ღმერთმა ქნა და ქალი მიეწონა, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყვებს! მაგისთანა პატრონს ჩვენ ვერსა ვიშონით! ღმერთო, ობლობის გამჩენო, მოიღე მოწყალეობა!.. ოცნებობდა თეკლე. „მარა რომ არ იქნას და ტყულაი გევილანძლოთ?“ — შიშობდა ის და ამიტომ სთხოვდა ელენეს: „შენ შენობით უთხარი, მაგი ამბავი ჩვენში იყოს, თუ ღმერთი გწამს, საქვეყნოთ ნუ დარჩებაო“.

ადვილი წარმოსადგენია დედა-შვილის სიხარული, როდესაც ელენემ გადასცა მათ: „კარგათაა საქმე, მგონი კი დევითანხმებო“.

ეფემია ტკბილმა ოცნებამ გაიტაცა. რა არ წარმოიდგინა, რა არ იფიქრა მან თავის მომავალ ცხოვრებაზე? თფილისი, მდიდრული ცხოვრება, წასვლა, მოსვლა — ყველაფერი ეს თავ-ბრუს ახვევდა მას და სასიამოვნოთ გულს უძგერებდა. „აბა აწი გადამიდგეს წინ, აწი წამომიძახონ რამე! ისე ვიცხოვრებ, რომ თვალს დავუბნელებ, გულზე გავსტკლევ თლათო“, — ფიქრობდა ეფემია.

თეკლეს ეჭვი ჰქონდა, „ვთუ თუ ვინმე დაგვეცილოს ან გადაფიქროსო“.

— აბა შენ იცი, ნენა, რაფერ იქნები, რაფა აჩვენებ თავს; ვინცა ოცია ღვთის მტერი და ათასს კი გადულაპარიკებენ რაცხას, — დაარიგა დედამ ეფემია.

— რაფერ ჩივა აი ნენაი, რაფა უნდა ვიყო... ჩილაპარაკა ყმაწვილმა ქალმა და წამოწითლდა.

ეფემია დაინიშნა. ეს ამბავი მაშინვე მთელ სოფელს მოედდა. ყველა შენატროდა ახალ-ღანიშნულს; ბევრი შურის თვალით უყურებდა მას.

ლალიონი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

მე-18 ნომერში „კვალის“ დასტამბულია წერილი რედაქციის მიმართ „თეატრში მოსიარულესი“, რომელშიაც, სხვათა შორის, გატარებულია აზრი, ვითომც სათავად-აზნაურა სკო-

ლის შეკიდებები უწესოთ იქნებოდნენ ქართულს თეატრში. ამის შესახებ საჭიროთ ვრაცხთ ვაუწყოთ მკითხველებს შემდეგი: თანხმად შემოღებულის წესისა, შეკიდეს, რომელსაც თეატრში წასვლა სურს, მაქვს ჩვენთან წინ და წინ ბილეთი, რომელზეც დაც ვაწერთ სახელს და გვარს იმ შეკიდისას, რომელსაც ბილეთი ეკუთვნის და მიეცა ნება თეატრში წასვლისა. თვალ-უურის საგდებთ შეკიდებისა უმეტეს შემთხვევაში იგზავნება რომელიმე აღმზრდელი. ამას გარდა ქართულს თეატრში არ ეოფელა ისეთი წარმადგენა, რომელსაც არ დასწრებოდეს ან კამბიტეტის წევრი, ან მასწავლებელი და ან რომელიმე მოსამსახურე სათავად-აზნაურა სკოლისა. ეკვლას ამით ნათხრონი და დაგადებული აქვთ თვალ-უურის გდება შეკიდებისათვის, მაგრამ არც ერთჯერ არ შეუნიშნავთ ჩვენი შეკიდების უწესობა. მართლაც, ერთ ორჯერ ხმაურბობს დროს მიაქციეს უურადდება აღმზრდელისა იმ მხარეს, საიდანაც ხმაურბობა მოდიოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ სათავად-აზნაურა სკოლის შეკიდის არ ეოფიდა. ბევრ არა მოსწავლეს ისეთი ტანისამოსი აცვია, როგორც ჩვენი სკოლის შეკიდის, და ამ გარემოებას ხშირათ შეჰკავს შეცდამაში ზოგიერთები. ჩვენ გვგონია, ამ გვარი შეცდამა მოსვლია „თეატრში მოსიარულესს“.

ტფილისის სათავად-აზნაურა სკოლის გამგე ე. თაყაიშვილი.

მშრის მუხრამუხმითა საყურადღებოდ.

IV

ბელს გრენის მოთხრონიდება ძალიან ნაკლებია, რაც გამოწვეულია ერთის მხრით შით, რომ საზღვარ-გარეთიდან ერთობ ბევრი გრენა შემოვიდა, ეკვლას ღუქან-სამიკიტნობები გრენის კოლოფობით აჭრელებულია და სოფელშიაც ხამ ოცში ერთი გრენის გამოვიდა. შეპრემუქე ხედავს ამას და ამბობს, როცა ჭია გამოუვა, მაშინ ხანკვარ ფასად ვიუიდიო და დროზედ გრენას არ იძენს. გრენის ფასი ძალიან დაეცა, 6—7 მისხლიანი კოლოფი იუიდება 20—30 კაზ. ზოგი მუქთადაც იძლევა, მაგრამ წამლები არავინაა. ბევრს ჭია გამოუვიდა და იზარადა. ამ მხრით გურიის ამხანაგობა „შუამავალი“ დარჩება მოსკეპში. შეორე მიხეზათ საზღვარ-გარეთ ზარკის ფასების დაწვეას ასხელებენ. შემოვა თუ არა სოფელი გრენის სუიდათ, ზირველ გკითხება: „ზარკს ნეტია რა ექნება ფასი, თუ-კი ფასში არ გვეიდა, ტუულა რეიზა წვეილა კაკალი“ (გრენა) და სხვა. თუ დარწმუნდა, კარგ ფასებში გაიუიდება — მიაქვს, თუ არა და ხელ-ცარიელი მიდის. ჩემის აზრით, ეს შეცდომია, ხუ თუ სავადლებულა, ეოველ წელს ერთ ხაირ ფასებში იუიდებოდეს ზარკი? შეპრემუქეები ხუ დაიოწმებენ, რა ფასებში იუიდებოდა ზარკი ამ საში წლის წინათ. თუ ზარკი დირსებით კარგი იქნება, შედარწმუნებული ვარ, თუ მეტათ არა, იმ ფასებში მაინც გაიუიდება. წარმოვიდგინოთ, რომ ფასები ნაკლებია, რაც ეხლა ამბოვდ გაადაჭრით რისიმე თქმა, შეუძლებელია, ამ ერთად-ერთ, სუოველთათ მუერნობის დარგს თავი უნდა მივანებოთ? სცდებან. თუ ზარკის ფასი ნაკლები დარჩა, შეუძლიან ძათათ ამხანგიონ და გაიუიდა, თუ ძათსაც ის ბედი ეწვია, ქსოვილებათ დაამზადონ და არას იზარალებენ; ეოველ შემთხვევაში შეპრემუქე ხამრამის აინაზდაულებს.

როგორც უკანასკნელათ მიღებული აზგარიშიდამ სხანს, მარსელში, ზირველი ხარისხის უვითელი ზარკი, გურიის ამხანაგობის „შუამავლისა“ გაიუილა 8 ფრ. 35 სანტ. ერთი კილოძათი მიუცია rentrée 3,459. ამ აზგარიშით, ერთ კილო ზარკს, ძათის გამოსავლით ერგა 9 ფრ. 65 სანტ. და ერთ ფუთს-

კი, ჩვენ ფულზედ 58 მანეთადის. ზირუელი აზრადისათვის მარსელის საწობებში დაჩენილია გაუყიდავი 647,000 კილო ზარკი. შარშან ამ დროს ყოფილა 219,000 კილო.—  
 სიმინდის ფასია 10<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11 ფ. ასი კილო.—  
 ს. ქვიშვილი.

**შემაჯავრობები.**

ალექსანდრე ბესარიონის ძე ნემსაძემ „კვავი“ს რედაქციას გადასცა 20 მან. ცაგერში განზრახულ წიგნთ-საცავ-სამუშაოთხველას სასარგებლოდ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

**გ ა ნ ც ხ ა**

**თვილისი ქაღალის**

ამით აცხადებს, რომ ქ. რევილის ქ. თაბაჩაძის კავკასიის მთავარ-მართეილის მიერ დამტკიცებულ დებულობისა, ცხენის ბაზრობის შესახებ, ხუთ ამა მისის თვიდან ვაი-მართება **ცხენის ბაზრობა**, რომელიც გაგრძელდება 19 მაისამდე. აღნიშნულ ცხენის ბაზრობისათვის აღვი-ლი დანიშნულია დიდუბეში კავკასიის ცხენის მოშენე-ბის წამქეზებელ საზოგადოების მოედანზე.

(3—1)

**ამჟამად გამოტყნაზე გახდვითი საქმის კავილიო-**

**მ**ენის მოძრაობა კომისია იწვევს მათ, რომელთაც მსურთ გა-მტკიცებონ ნაწარმოები სსეხებულს ზავალიანში, 20 მაისამ-დე გამოაცხადონ თავისი სურვილი და ამასთანავე აღნიშნონ რამ-დენი ოთხ-კუთხი არშინი დასჭირდებათ ექსპონატებისათვის. ფა-სი ოთხ-კუთხი არშინის 5 მ.—თუმანდუ (ცენტრალურს და-ბაზში). განცხადებისთან ერთად უნდა წარმოდგინდეს იქმეს ბე 3 მან. ყოველ ოთხ-კუთხ არშინში. ექსპონატებათ შეუძლიათ იუვენ კავკასიის ა) ზერიადელი გამოცემანი, ბ) წიგნების მადა-ხიები და გამოცემლები, გ) სტამბები, ლიტოგრაფები, ფო-ტოგრაფები და სხვა ამ გვარ დაწესებულებანი, რომელთაც კავ-შირი აქვთ ბეჭდვით საქმესთან.

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ტფილისში კომისიის მდიანის ი. მ. დოდუხანაშვილის სახელზე (განთავს ქ., № 17). ზირისზირ მოღალატეობა მდიანთან შეიძლება ყოველ-დღე, სა-დამოს 5 საათიდან 6-მდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ტე-ლეფონის № 678. ბეჭდვითი საქმის ზავალიანში იქნება უფა-სა საშეიხვედრ და ზრესის წარმომადგენელთათვის საშუაო-ათახა.

(3—1)

**თვილისი კერძო სამაჟურნალო**

მკურნალის მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი სავინაშვილისა, № 21).

ბელაფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.  
 დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ.  
 მახეალ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა-ელექტრონიით—9—10 საათ.

Довзлено цензурою. Тифлисъ, 5 мая 1901 г.

ნ. ს. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.  
 ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულეზანი, 11—12.  
 ა. ნ. შატალავა—თვალისა, 11—12 საათ.  
 ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა, 11—12.  
 დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1.  
 მ. გ. ბეზარგანავა—შინაგანი და ბავშვებისა, 1—2.  
 ვ. ლ. მარკვეიანი—საქირურგო, 12<sup>1</sup>/<sub>2</sub>—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათ.,  
 სამშობათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგავა—სიფილისისა, კანისა და საშარ-დისი—1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2 საათ.

**ს ა ლ ა მ ო თ ი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულეზანი, 5—6.  
 ა. ა. ბელავალავა—შინაგანი (სტრომაქის ავადმყო-ფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევაანი, 5—6 საათ.

**კ ვ ი რ ა ო ზ ი თ:**

გ. გ. მადლაშვილი—შინაგან ავადმყოფ., 10—12.  
 სასკურნადს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგე-ბა 50 კ., მხურავები—მორიგებით. კრატე 4 მ. დღე და-დამუშ. ერთი კრატე ღარიბთათვის უფასოდ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА  
 ГОДЪ 2.                    на 1901 г.                    ГОДЪ 2.  
 на еженедѣльную

финансово-экономическую, торговую и про-  
 мышленно-техническую газету

**„Промышленный Миръ“**

Газета „Промышленный Миръ“ выходитъ еженедѣльно, въ  
 объемѣ около 3 листовъ текста, и содержитъ слѣдующіе  
 отдѣлы:

- I. Правительствоныя распоряженія.
- II. Статьи, обзоры и корреспонденціи по финансово-экономиче-скимъ и торгово-промышленнымъ вопросамъ.
- III. Хроника.
- IV. Кредитъ и банковое дѣло.
- V. Акціонерное дѣло.
- VI. Фабрично-заводскій отдѣлъ.
- VII. Горное дѣло.
- VIII. Хлѣбная торговля и мукомольная промышленность.
- IX. Страховое дѣло.
- X. Обзоры новѣйшихъ изобрѣтеній въ области техники.
- XI. Пути сообщенія, тарифы, фрахты.
- XII. Обзоръ печати и библиографія.
- XIII. Вопросы и отвѣты (практическія свѣдѣнія, укаванія и сооб-щенія промышленнымъ дѣятелямъ).
- XIV. Объявленія.

Редакція газеты „Промышленный Миръ“ относится съ полнымъ  
 безпристрастіемъ ко всякому обоснованному мнѣнію по вопросамъ  
 нашего экономического быта.

Столбцы газеты открыты какъ для представителей экономи-  
 ческой науки, такъ и для просвѣщенныхъ практическихъ дѣятелей,  
 которые прямо заинтересованы въ томъ, чтобы нужды разныхъ от-  
 раслей торгово-промышленной дѣятельности своевременно остана-  
 вливали на себя вниманіе общества и правительства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ И ДОСТАВКОЙ:  
 на годъ—10 руб., полгода—5 руб. и четверть года—3 руб.  
 Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ,  
 Коломенская ул., д. № 1, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.  
 (3—3) Редакторъ-Издатель А. С. Залишутинъ.